



ოქმი:ო37.37211161

თარიღი:26/04/2021

ოქმი N7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2021 წელი, 22 -აპრილი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- გ. ლურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვაგა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე, შ.გოგობერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, დ.მდინარაძე, ვ. ბერიძე, ლ. ნინიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, ვ.ჩხაიძე, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ლლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 28 საკრებულოს წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 28-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე განცხადება გააკეთა ახალგაზრდა მეწარმეთა წარმომადგენელმა.

დღის წესრიგი

21.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

გიორგი ჩაგანავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაკამ განაცხადა, რომ ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია ვიდეოკამერების შექმნის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა - გაანალიზებული იქნა თუ არა ტენდერების ჩავარდნების მიზეზები? იქნებ ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორებია, რომელიც შეიძლება ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოსწორდეს. მაგალითად, ფირნიშების დამზადებაზე, „სამოქალაქო ბიუჯეტით“ გათვალისწინებული პროექტების შესყიდვაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტებისათვის სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა საპროექტო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი შემსრულებელი ორგანიზაციის დაქირავება, ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია ვადაში დაგვიანება.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის ლ.ბიგვაკას აზრით, ეს განმარტებები თავიდანვე უნდა ყოფილიყო ანგარიშში, ე.ი. ანგარიშს აკლდა ანალიტიკური ნაწილი, რაც მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირებს მიეცეთ საშუალება ყველა საკითხს სრულყოფილად გაეცნონ.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: დავით გორდელაძე

გიორგი ჩაგანავა

ანგარიში საკრებულომ მიიღო ცნობად.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა-რომელი ტენდერები იქნა გასაჩივრებული? განუმარტეს, რომ ექსკავატორ-დამტვირთველი ტექნიკის შესაძენად გამოცხადებული ტენდერი.

11.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

22.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გონა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

23.5. ქალაქ ოზურგეთის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ უსახელო სკვერისთვის - „არსენ კეჭაყმაძის სახელობის სკვერი“-ს სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27-ხმით

წინააღმდეგი 1- ლევან ნინიძე

საკრებულოს წევრის ლ.ნინიძის აზრით, უმჯობესია თეატრთან არსებულ სკვერს ეწოდოს რომელიმე დამსახურებული მსახიობის, მაგალითად, რომან ლომინაძის სახელი, ამიტომ მხარს ვერ დაუჭერს ამ პროექტს. საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა, რომ თეატრის წინ არსებულ სკვერს ე.წ. ჭადრების ბაღს“ უნდა ეწოდოს ანზორ ერქომაიშვილის სახელი, ამასთან ჭადრების ბაღში უნდა გაკეთდეს მემორიალური დაფა, სადაც განთავსდება ცნობილი ოზურგეთელების რატი ღლონტის, ნესტორ თოიძის, რენო ურუშაძის და ა.შ. სახელები.

24.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021-2022 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

25.7. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებისა და პროექტების განაწილების შესახებ“ - ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა დასვა შეკითხვა, სოფელ ნატანების სპორტული დარბაზის ღირებულების შესაძენი თანხის თაობაზე, მ.ჩხიკვიშვილმა სოფელ გაღმა დვებზე საექიმო ამბულატორიის რემონტის თაობაზე, ლ.სიჭინავამ ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებზე თანხების გადახრის თაობაზე, ჯ.თავართქილაძემ სოფელ ნაგომრის სპორტული დარბაზის გადახურვის თაობაზე, მ.ზოიძემ და თ.ტულუშმა განაცხადეს, რომ არ უნდა მოხდეს სოფლის მცხოვრებლების მიერ მოწონებული პროექტის ჩანაცვლება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ამ განკარგულების მიღების აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმებით. მუნიციპალიტეტმა პროექტების განხორციელების თაობაზე (სავარაუდო ღირებულების მითითებით) გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არაუგვიანეს 1 მაისისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების სხვა თავისი შეხედულებით განკარგვის თაობაზე. შემდგომ ეტაპზე, მერამ უნდა მოამზადოს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია თითოეული პროექტისათვის და დაზუსტებული თანხებით უნდა მოხდეს ცვლილებების განხორციელება მიღებულ დოკუმენტში.

სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას აზრით, დაუშვებელია კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების ცვლილება მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე.

საკრებულოს წევრმა დ. მამალაძემ განაცხადა, რომ იანგარიშა და მუნიციპალიტეტის ვერც ერთ სოფელში ვერ აღმოაჩინა 5-მილიონი ლარის შესრულებული სამუშაოები.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

